ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №07

2018 წლის 29 იანვარი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის **28** დეკემბრის **N471** განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების მედიკამენტოზური პროგრამა"-ში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 22 იანვრის N01/525 მომართვის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N471 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების მედიკამენტოზური პროგრამა"-ში თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ.წულუკიძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30);

4. განკარგულება ამოქმედდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 იანვრის №03 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის ცვლილებების ძალაში შესვლისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — დ.მჭედლიშვილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის
პროგრამა

2018 წელი

ზომის ერთეული - ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების მედიკამენტოზური დახმარების

პროგრამა

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2018 წელი

31 დეკემბერი 2018 წელი

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

204 446 (ორასოთხი ათას ოთხას ორმოცდაექვსი)ლარი

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ა) ძირითადი _ ადგილობრივი ბიუჯეტი 204 446 ლარი

ბ) დამატებითი _ 0 ლარი

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა.

ქრონიკული დაავადების მქონე პირები მუდმივად საჭიროებენ მედიკამენტების მიღებას. ასეთი დაავადებებია ეპილეფსია, ბრონქული ასთმა , შაქრიანი დიაბეტი და პარკინსონის დაავადება.

ა) ეპილეფსია ქრონიკული დაავადებაა, რომელიც ხასიათდება გულყრებით, იწვევს ინვალიდობას და დროული მედიკამენტოზური დახმარების გარეშე შეიძლება ლეტალური შედეგებით დამთავრდეს.

ბ) ბრონქული ასთმა სასუნთქი გზების ქრონიკულ დაავადებას წარმოადგენს, რომელიც იწვევს ფილტვ-გულის უკმარისობას და თუ დროულად არ იქნება გამოყენებული მაკონტროლებელი პრეპარატები ავადმყოფი შეიძლება დაიღუპოს.

გ) შაქრიანი დიაბეტი ფართოდ გავრცელებული ქრონიკული დაავადებაა, რომლის ფონზე ვითარდება ინვალიდობის გამომწვევი გართულებები: როგორიცაა სიბრმავე, გიდი, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლა, განგრენა, თირკმლის პროგრესული დაზიანება, შაქრიანი დიაბეტი არსებობს ორი ტიპის: ინსულინდამოკიდებული (ტიპი1) და ინსულინდამოუკიდებელი (ტიპი2), ინსულინდამოკიდებული დიაბეტი (ტიპი1) ფინანსირდება ფედერალური პროგრამების მეშვეობით, ხოლო ინსულინდამოუკიდებული (ტიპი2) დიაბეტის მედიკამენტური მკურნალობა არ ფინანსირდება. რადგან ამ დაავადებების მქონე პირები საჭიროებენ მკურნალობას ძვირადღირებული პრეპარატებით, რომელთა შეძენის საშუალებაც ხშირ შემთხვევაში მათ ოჯახებს არ შეუძლიათ, რაც იწვევს დაავადებათა გამწვავებას და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას.

დ) პარკინსონი ეს არის ქრონიკული დაავადება, რომლის ფონზე ვითარდება ინვალიდობა და მედიკამენტის მიწოდების გარეშე ადამიანს არ შეუძლია გადაადგილება.

პროგრამის ფარგლებში მედიკამენტები მიეწოდება ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ:

ა) **300** ეპილეფსიით და მეორადი ეპილეფსიური სინდრომით დაავადებულ ბენეფიციარს.

ბ) **150** ბრონქული ასთმის დაავადების მქონე: **19** წლამდე ასაკის პირებს ; **0**-დან **100 000** ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოზრდილებს; შშმ პირებს; ასაკით პენსიონერებს, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს.

გ) **700** მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პირებს : **0**-დან **100 000** ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოზრდილებს; შშმ პირებს; ასაკით პენსიონერებს, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს და **2008**წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრის ოჯახის წევრებს (მშობელი, მეუღლე, შვილი).

დ) **50** პარკინსონით დაავადებულ **0**-დან **100 000** ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოზრდილებს; შშმ პირებს; ასაკით პენსიონერებს, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს.

7. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების კრიტერიუმები
1	ეპილეფსიით და მეორადი ეპილეფსიური სინდრომით, ბრონქული ასთმით, მეორე ტიპის დიაბეტით, პარკინსონით დაავადებული ბენეფიციარების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ბენეფიციართა რაოდენობა

2	ბენეფიციარების ოჯახების მკურნალობასთან დაკავშირებულიფინანსური რისკებისაგან დაცვა	კმაყოფილების დონე

8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

№	საქმიანობის აღწერა	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
1	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	x	x	x	x
2	მოქალაქეთა განცხადებების მიღება	x	x	x	x
3	განცხადებების განხილვა	x	x	x	x
4	მედიკამენტების გაცემა	x	x	x	x

9. პროგრამის მოსარგებლე პირთა შერჩევა:

1.2017წლის დეკემბერში შემოსული განცხადებები.

2.2018წლის განმავლობაში შემოსული განცხადებები.

10. პროგრამის ბიუჯეტი:

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

	წყაროს დასახელება		2018წელი	2019წელი	2020წელი	სულ
	ძირითადი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი	204 446			204 446

	დამატებითი		0			0
	სულ		204 446			204 446

11. პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	სულ ხარჯი (ლარი)
	2018 წელი	
1	ეპილეფსიითა და მეორადი ეპილეფსიური სინდრომით დაავადებულთა მედიკამენტოზური დახმარება (300 ბენეფიციარი)	78 000
2	ბრონქული ასთმით დაავადებულთა მედიკამენტოზური დახმარება(200 ბენეფიციარი)	25 781
3	მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტოზური დახმარება (900 ბენეფიციარი)	66 120
4	პარკინსონით დაავადებულთა მედიკამენტოზური დახმარება (50 ბენეფიციარი)	12 000
5	2017წლის დაუფინანსებელი ვალდებულების დაფინანსება	22 545
	სულ	**204 446**

ა) ეპილეფსიითა და მეორადი ეპილეფსიური სინდრომით დაავადებულთა მედიკამენტოზური დახმარება

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალური გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	სავარაუდო ერთეულის ფასი	მედიკამენტების რაოდენობა	სულ ღონისძიების სავარაუდო ხარჯი
	2018წელი				
	საქონელი და მომსახურეობა				
1	ვალპროის მჟ Valproate sodium (ენტერი) 300 mg	აბი	0,42	14000	5880
2	ვალპროის მჟ+ვალპროატ ნატრიუმი Valproate sodium 300 mg	აბი	0,3002	8000	2401,6
3	ვალპროის მჟ+ვალპროატ ნატრიუმი Valproic acid (Valproate sodium,Valproic acid)500 mg	აბი	0,2	52000	10400
4	ვალპროის მჟ Valproate sodium 150 ml	ფლაკონი	15	170	2550

5	კარბამაზეპინი Carbamazepine 200 mg.	აბი	0,07	105000	7350
6	კარბამაზეპინი Carbamazepine 400მგ	აბი	0,12	30000	3600
7	ლევეტირაცეტამი Levetiracetam 500 mg	აბი	0,6	47000	28200
8	ლამოტრიჯინი lamotrigine 25 mg.	აბი	0,4092	8000	3273,6
9	ლამოტრიჯინი lamotrigine 100 mg.	აბი	1,112	12900	14344,8
					78 000

ბ) ბრონქული ასთმით დაავადებულთა მედიკამენტოზური დახმარება

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება (დეტალუტად გაშიფრული)	განზომილების ერთეული	სავარაუდო ფასი	მედიკამენტების რაოდენობა	სავარაუდო თანხა
1	ფლუტიკაზონპროტიონატი/სალმეტეროლი 50/100 mkgდისკუსი №60	ინჰალატორი	11,92	20	238,4
2	ფლუტიკაზონპროტიონატი/სალმეტეროლი 50/250 mkgდისკუსი №60	ინჰალატორი	12,75	275	3506,25
3	ბუდესონიდი/ფორმოტეროლი 80/4.5 mkgტურბუჰალერი №60	ინჰალატორი	43,37	75	3252,75
4	ბუდესონიდი/ფორმოტეროლი 160/4.5 mkgტურბუჰალერი №60	ინჰალატორი	56,92	330	18783,6
					25 781

გ) მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტოზური დახმარება

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება (დეტალუტად გაშიფრული)	განზომილების ერთეული	სავარაუდო ფასი	მედიკამენტების რაოდენობა	სავარაუდო თანხა
1	მეტფორმინი 1000მგ, (metformin)	აბი	0,090	180 000	16 200
2	გლიკლაზიდი მრ (დიაბეტონ მრ) 60 მგ (gliklazid MR)	აბი	0,170	96 000	16 320
3	გლიმეპირიდი 2მგ/მეტფორმინი 500მგ (Glimepide/metformin)	აბი	0,350	96 000	33 600

					66 120

დ) პარკინსონით დაავადებულთა მედიკამენტოზური დახმარება

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება (დეტალუტად გაშიფრული)	განზომილების ერთეული	სავარაუდო ფასი	მედიკამენტების რაოდენობა	სავარაუდო თანხა
1	ლევოდოპა-კარბიდოპა 250-25მგ	აბი	0,30	22 000	6600,00
2	პირიბედილი 50 მგ	აბი	0,78	5 000	3900,00
3	ამანტადინი 100მგ	აბი	0,3	5 000	1500,00
					12000,00

12. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები:

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	ეპილეფსიით და მეორადი ეპილეფსიური სინდრომით, ბრონქული ასთმით, მეორე ტიპის დიაბეტით, პარკინსონით დაავადებულთა ინდივიდუალური მედიკამენტებით უზრუნველყოფა	2017წლისდეკემბერი 2018წელი	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	204 446	

დამატებითი ინფორმაცია:

პუნქტებს შორის გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს მოთხოვნილებიდან გამომდინარე მერიას უფლება აქვს ცალკეული კვარტალების მიხედვით არათანაბარი შესრულების შემთხვევაში მერიის საფინანსო სამსახურთან შეთანხმებით გადაანაწილოს პროგრამის ბიუჯეტის კვარტალური დაყოფა.

ა) დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება

I კვარტალი 69 446 ლარი, II კვარტალი 45 000 ლარი,

III კვარტალი 45 000 ლარი, IV კვარტალი 45 000 ლარი.

ბ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

1. ბენეფიციარი მომართავს მერიას განცხადებით.

2. მერის ან მერის მოადგილის რეზოლუციის თანახმად ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური უმზადებს წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ექიმის მიერ გაცემული ფ. №IV-100/ა-ს საფუძველზე მიმართვის პროექტს მერს ხელშეკრულებით მომსახურე აფთიაქზე, სადაც მითითებულია ბენეფიციარის მონაცემები და მედიკამენტის ზუსტი დასახელება. ასევე თვის ან წლის განმავლობაში ბენეფიციარზე გასაცემი მედიკამენტის გაცემის გრაფიკი.

შენიშვნა: მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტოზური დახმარების შემთხვევაში პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტები ბენეფიციარებზე გაიცემა შემდეგი სქემით: თითოეული მედიკამენტი არაუმეტეს ერთი აბისა დღეში (ზღვრული სადღეღამისო დოზა 1 აბი დღში).

3. მედიკამენტების შესყიდვის მოცულობა ხდება ინდივიდუალურად ფორმა № IV-100/ა-ში მითითებული მედიკამენტების მიხედვით ხელშეკრულებით გათვალისწინებული მედიკამენტების ჩამონათვალის ფარგლებში.

შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, დაფინანსება განხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და სააფთიაქო დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით.

პროგრამის „მიმწოდებლის" დაფინანსება განხორციელდება ყოველთვიურად ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობით მაგრამ არა უმეტეს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოს დაფინანსების დამტკიცებული მოცულობისა.

გ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ბენეფიციარები, რომლებიც სარგებლობდნენ აღნიშნული პროგრამით 2017 წელს და წარმოდგენილი აქვთ სათანადო დოკუმენტები, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ბენეფიციარი რომელიც არის დაავადებული ეპილეფსიით ან მეორადი ეპილეფსიური სინდრომით, ბრონქული ასთმით, დიაბეტით ან პარკინსონით, გარდა იმ ბენეფიციარებისა, რომლებიც არიან „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის" სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეები.

პროგრამაში ჩართვის მიზნით ბენეფიციარი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი მომართავს მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით და წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტს:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

2. პირადობის მოწმობა, თუ ბავშვია დაბადების მოწმობა და მშობლის ან მეურვის პირადობის მოწმობის ასლი;

3. 18 წლამდე ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;

4. სამედიცინო ფორმა № IV-100/ა (დედანი)

5. ბენეფიციარის დამადასტურებელი დოკუმენტი;

6. ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზიდან.

დ) პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებში (მუხლი 11. პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით პუნქ. ა) ბ) გ) დ)) გაწერილი „მედიკამენტების რაოდენობა“ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, პროგრამის მსვლელობის დროს მოსალოდნელია არსებული ბიუჯეტის ფარგლებში მე-11 მუხლით მოცემული არსებული მედიკამენტების ჩამონათვალში მედიკამენტების რაოდენობის ცვლა.

შენიშვნა: პროგრამაში გათვალისწინებულია 2017წლის დაუფინანსებელი ვალდებულებების დაფინანსება თანხით 22 545 (ოცდაორი ათას ხუთას ორმოცდახუთი) ლარი.